ექსკურსია მუზეუმში/გამოფენაზე

ავტორი: ნინო გვარამაძე

შესავალი:

ექსკურსია მუზეუმში/გამოფენაზე აქტივობაა, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა თემისა და სახვადასხვა საკითხის შესწავლისას. ტრადიციულად ექსკურსია გამოიყენება როგორც კლასგარეშე აქტივობა. ქვემოთ ის განხილული იქნება, როგორც გარკვეული საკითხის შესასწავლად გაკვეთილთან ინტეგრირებული აქტივობა.

მუზეუმი წარმოადგენს სივრცეს, სადაც მოსწავლეს შეუძლია გაიუმჯობესოს ცოდნა ხელოვნების ნიმუშის, დოკუმენტის, წარმოდგენილი ნარატივის, რომელზეც კლასში ხელი არ მიუწვდება, საშუალებით. მუზეუმში ვიზიტი ხელს უწყობს ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის სწორად აღქმას, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას. ემოციური ზეგავლენა, რომელსაც ახდენს სამუზეუმო ექსპონატი აძლიერებს მოსწავლეთა აღქმას. ამასთან ერთად, აუცილებელია, მოსწავლეთა დახმარება გარკვეული მექანიზმებით, რათა მოხდეს კრიტიკული აზროვნების პროვოცირება, ნანახის განხილვა სხვადასხვა კუთხით.

ეს აქტივობა შეძლება განხორციელდეს საბაზო საფეხურის ნებისმიერ კლასში.

ექსკურსია მუზეუმში სხვადასხვა ეტაპისგან შედგება:

1. მომზადება
2. მუზეუმში/გამოფენაზე
3. მუზეუმის/გამოფენის დათვალიერების შემდეგ

ნებისმიერი საკითხის სწავლებისას პედაგოგი უსვამს თავის თავს შეკითხვას, თუ რომელი რესურსი შეიძლება გამოიყენოს. ერთ-ერთი შეიძლება იყოს მუზეუმი/გამოფენა. მუზეუმების ჩამონათვალი, საქართველოს მუზეულების სია https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90
მისცემს მასწავლებელს წარმოდგენას მუზეუმის თემატიკაზე და ის შეარჩევს თემასთან დაკავშირებულ მუზეუმს. გარდა მუდმივი ექსპოზიციებისა, მუზეუმებში ეწყობა დროებითი გამოფენები, რომლებიც, შესაძლოა, პასუხობდეს ამა თუ იმ თემას. პირველ რიგში, მასწავლებელმა თვითონ უნდა დაათვალიეროს მუზეუმი/გამოფენა, რათა მაქსიმალურად შეძლოს მისი გამოყენება მოსწავლეებისთვის.

მაგალითისთვის მოგვყავს ექსკურსია საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში. პირველი 7 ნაბიჯი აღწერს აქტივობის ნაწილს ექსკურსიამდე. მას ეთმობა 1 გაკვეთილი. შემდეგ ტარდება ექსკურსია (ნაბიჯები 8-10). ექსკურსიის შემდეგ შეჯამებას ეთმობა კიდევ ერთი გაკვეთილი (ნაბიჯები 11-13).

მუზეუმის კოლექციების მოკლე აღწერა: *მუზეუმში დაცულია საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდთან (1921-1991 წწ.) დაკავშირებული მასალები, რომელთა უმრავლესობა მოპოვებული იქნა უშიშროების არქივიდან, აგრეთვე სხვადასხვა მუზეუმის არქივებიდან, საცავებიდან, ოჯახებიდან. მათ შორისაა: სხვადასხვა სახის დოკუმენტები და ნივთიერი მასალები, დაკითხვის ოქმები, ფოტომასალები, ინსტალაციები. მუზეუმში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეძღვნება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს. ამჟამად მუზეუმი განთავსებულია სიმონ ჯანაშიას სახ. მუზეუმში.*

მუზეუმის მუშაობის განრიგი: მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან - 18 სთ-მდე

(მუზეუმის კოლექციის მოკლე აღწერის გაცნობა მოსწავლეთათვის საჭირო არ რის.)

მომზადების ეტაპზე მოიაზრება

- მასწავლებლის მომზადება (მიზნის გააზრება, მოსწავლეებისთვის სამუშაო ფურცლების მომზადება);
- მოსწავლეების მომზადება (შეთავაზება, წინასწარი აქტივობების ჩატარება);
- მოსწავლეებთან ერთად ექსკურსიის დაგეგმვა;

მუზეუმში:

- ექსკურსიამძღოლის მონათხრობის მოსმენა და ექსპოზიციის დათვალიერება;
- მოსწავლეთა მიერ ექსპოზიციის დამოუკიდებლად დათვალიერება;
- ჩანაწერების გაკეთება.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ:

- შეჯამება

თემატური ბლოკი - მოქალაქე და სახელმწიფო

საკითხი - დემოკრატიული მმართველობა - საქართველოს არჩევანი

მიზანი - დემოკრატიული მმართველობის უპირატესობის დანახვა ტოტალიტარულთან შედარებით

აქტივობის მიზანი - ტოტალიტარული მმართველობის მაგალითის გაცნობა

ცოდნა - მოსწავლეები საკუთარი ქვეყნის მაგალითზე გაეცნობიან ტოტალიტარული მმართველობის დროს მომხდარ ფაქტებს. ჩაწვდებიან ტოტალიტარიზმის არსს.

უნარი - აქტიური მოსმენის, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების.

ჩვევა - მუზეუმში/გამოფენაზე სტუმრობის

წინარე ცოდნა - დემოკრატიის პრინციპები[1], ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონირება საქართველოში.

მასალა გამოიყენება **ცნება** „დემოკრატიის“ განხილვისას.

ნაბიჯი 1

---

[1] დემოკრატიის პრინციპები - კანონის უზენაესობა, ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, ხელისუფლების შტოების არსებობა და მათი ურთიერთკონტროლი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა. თავისუფალი მედიის არსებობა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მასწავლებელი სთავაზობს კლასს შემდეგ დავალებას:

ეკრანზე ან დიდ ფურცელზე წარმოდგენილია დემოკრატიის რამდენიმე პრინციპი.

დემოკრატიის პრინციპები

- თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები;
- კანონის უზენაესობა;
- ხელისუფლების შტოების არსებობა და მათი ურთიერთკონტროლი,
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა;
- ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში;
- თავისუფალი მედიის არსებობა.

მოსწავლეებმა უნდა მოიყვანონ ან მოიფიქრონ შესაბამისი მაგალითი თითოეული პრინციპის დაცვის ან დარღვევის. არ არის სავალდებულო ყველამ ყველა პრინციპზე მოიფიქროს მაგალითი.

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს 5 წუთს მოსაფიქრებლად და შემდეგ მსურველები გააცნობენ კლასს თავის მაგალითებს.

ნაბიჯი 2

კითხვა:

- თქვენ ხშირად გსმენიათ სიტყვა „ოკუპაცია“. რას ნიშნავს ეს სიტყვა?

მასწავლებელმა უნდა მოისმინოს ყველა პასუხი და გააცნოს (პროექტორის საშუალებით ან დიდ ფურცელზე დაწერილი) მოსწავლეებს შემდეგი განმარტება:

Occupation

საერთაშორისო სამართალში ოკუპაციის ორ გაგებას ვხვდებით: 1) ოკუპაცია - ,,terra nullius“ - არავისი მიწის დაკავება (ათვისება), ანუ ისეთი ტერიტორიის დაკავებაა, რომელიც არც ერთი სხვა სახელმწიფოს სამფლობელო არ არის. (XVI-

XIX სს.); 2) სამხედრო ოკუპაცია - ძალის გამოყენებით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დროებითი დაკავება.[2]

ნაბიჯი 3

კითხვა :

- რას ნიშნავს „საბჭოთა ოკუპაცია“.

ამ კითხვაზე, შესაძლოა, მოსწავლეებს არ ჰქონდეთ სწორი პასუხი. მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ 1918 წლის იანვრიდან რუსეთის სახელმწიფოს დასახელებაში შედიოდა სიტყვა „საბჭოთა“. მაგალითად „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა“. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ქვეყანას დეპუტატთა საბჭოები მართავდნენ. თუმცა ეს იყო ფორმალურად. საბჭოთა ოკუპაცია ნიშნავს საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციას.

კითხვა:

- თქვენი აზრით რას უნდა ასახავდეს „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“, რომელიც თბილისში მდებარეობს?

მოსწავლეები, სავარაუდოდ, უპასუხებენ, რომ ეს მუზეუმი უნდა ასახავდეს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას.

ნაბიჯი 4

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ექსკურსიას საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში.

ნაბიჯი 5

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დავალებას 4-5 კაციან ჯგუფებში (ან წყვილებში) შესასრულებლად. მოსწავლეებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები N1, რომლებიც მათ უნდა შეავსონ ჯგუფში მოთათბირების შედეგად. მე-3 კითხვაში იგულისხმება ფოტო, რომელიც არის ქვემოთ. ის უნდა ნაჩვენები იქნას ეკრანზე ან ამოიბეჭდოს.

სამუშაო ფურცელი N1

---

[2] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ. ; 23სმ. - ISBN 99940-0-877-3 : [ფ.ა.]

გამოთქვით თქვენი ვარაუდი და ჩაწერეთ „პასუხის გრაფაში“.

N	კითხვა	პასუხი
1	რა ფორმით იქნება წარმოდგენილი საგამოფენო მასალა?	
2	რომელ წლებს ეხება საგამოფენო მასალა?	
3	თქვენი აზრით, რას ასახავს ფოტო?	

დავალების შესრულებისთვის ეძლევათ 10 წუთი.

ნაბიჯი 6

თითოეული ჯგუფიდან თითო მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს. მასწავლებელი გააერთიანებს პასუხებს საერთო ცხრილში. ის არაფერს ამბობს მოსწავლეთა ვარაუდების შესახებ პირველ კითხვასთან დაკავშირებით, აზუსტებს პასუხს მეორე კითხვაზე (1918-1991 წ.წ.) და ისმენს მოსაზრებებს მესამე კითხვასთან დაკავშირებით.

ნაბიჯი 7

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გეგმავს ექსკურსიას. დღისა და დროის შერჩევის შემდეგ ის ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ საშუალება ექნებათ მოუსმინონ ექსკურსიამძღოლს, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად მივიდნენ ამა თუ იმ ექსპონატთან.

ნაბიჯი 8

ექსკურსიის დღეს მასწავლებელი ურიგებს თითოეულ მოსწავლეს წინასწარ მომზადებულ სამუშაო ფურცლებს N2 და უხსნის თუ როგორ შეავსონ ისინი. გარდა ამისა, ეუბნება, რომ ამ ფურცლების შევსება შეუძლიათ როგორც ექსკურსიამძღოლის მოსმენისას, ისე დამოუკიდებელი დათვალიერებისას. შევსებული ფურცლები მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ უახლოეს გაკვეთილზე. დამოუკიდებელი დათვალიერებისთვის მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მისცეს დრო (მინიმუმ 15 წუთი) მოსწავლეებს. მოელაპარაკოს მათ, რომელ საათზე შეიკრიბებიან მუზეუმის დასატოვებლად.

სამუშაო ფურცელი N 2

N	კითხვა	პასუხი	რომელი ექსპონატი ასახავს შენს პასუხს	კომენტარი
1	დემოკრატიის რომელი პრინციპები			

	ირღვეოდა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში			
2	ადამიანის რომელი უფლებების დარღვევა აღმოაჩინე			
3	აღმოაჩინე თუ არა ისეთი ექსპონატი,რომელმაც დაგაინტერესა			

შეგიძლია დაუსვა კითხვები ექსკურსიამძღოლს.

ნაბიჯი 9

ექსკურსიამძღოლის მოსმენა.

ნაბიჯი 10

დამოუკიდებელი დათვალიერება.

ნაბიჯი 11

მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი ატარებს ჯგუფურ სამუშაოს. თუ კლასი მცირერიცხოვანია, სამუშაო შეიძლება ჩატარდეს წყვილებში. მოსწავლეები იყოფიან 3 ჯგუფად. მასწავლებელი მათ ურიგებს სამუშაო ფურცლებს N 3. თითოეული ჯგუფი მუშაობს და შედეგები გადააქვს დიდ ფურცელზე. მათ შეუძლიათ გამოიყენონ მუზეუმში გაკეთებული ჩანაწერები. 10 წუთის გასვლის შემდეგ ჯგუფები ტოვებენ საკუთარ ადგილებს და მთელი ჯგუფი გადაადგილდება გვერდით მაგიდასთან, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. მცირე და დიდი ფურცლები რჩება მაგიდაზე და ახლადმოსული ჯგუფი მუშაობს ამ მაგიდის საკითხებზე. ის ეცნობა წინა ჯგუფის მიერ შესრულებულ დავალებას და დიდ ფურცელზე ამატებს საკუთარ მოსაზრებებს. ამისთვის ჯგუფს ეძლევა 5 წუთი. შემდეგ ჯგუფები განაგრძობენ

გადაადგილებას, ვიდრე ყველა ჯგუფი ყველა მაგიდას არ მოივლის. შესაძლებელია, რომ მოსწავლეების გადაადგილების ნაცვლად გადაადგილდეს სამუშაო ფურცლები (დიდი და პატარა). ამრიგად, ყველა ჯგუფი იმუშავებს ყველა საკითხზე. ბოლოს თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი აკეთებს პრეზენტაციას იმ საკითხისას, რომელიც მას ბოლოს შეხვდა.

სამუშაო ჯგუფები მუშაობენ შემდეგ საკითხებზე:

- დემოკრატიული პრინციპები;
- ადამიანის უფლებები;
- მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები გარკვეული საკითხების გადაწყვეტისას.

სამუშაო ფურცელი N3

პირველი ჯგუფისთვის

გაიხსენეთ ფაქტი, რომელიც მეტყველებს დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობაზე საბჭოთა ოკუპაციის დროს.

გაიხსენეთ ფაქტი, რომელიც მეტყველებს ხელისუფლების მიერ პრესის კონტროლზე.

გაიხსენეთ ფაქტი, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებები დარღვეულია

სამუშაო ფურცელი N 3

მეორე ჯგუფისთვის

გაიხსენეთ ფაქტი, რომელიც მეტყველებს სიცოცხლის უფლების დარღვევაზე

გაიხსენეთ ფაქტი, რომელიც მეტყველებს აღმსარებლობის თავისუფლების უარყოფაზე.

გაიხსენეთ ფაქტი, რომელიც მეტყველებს დისკრიმინაციაზე.

სამუშაო ფურცელი N 3

მესამე ჯგუფისთვის

1. გაიხსენეთ ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც იმსხვერპლა საბჭოთა ოკუპაციამ.

---
2. რომელი ექსპონატები დაგამახსოვრდათ ექსკურსიიდან?

---
3. გაიხსენეთ რა ჰქვია ქანდაკებას, რომელიც ექსპოზიციის დასაწყისში ნახეთ.

ნაბიჯი 12

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს და მსჯელობენ მათ ირგვლივ.

ნაბიჯი 13

დასასრულს მოსწავლეებს ეძლევათ ინდივიდუალური დავალება. რამდენიმე წინადადებით დაწერონ „რატომ აირჩია საქართველომ დემოკრატიული განვითარების გზა?“